

10  
1914.6.

# შინაური საქმეები.

უკველ-კვირული გაზეთი

№ 2

შასი ერთი შაური

წლიური შასი 3 1/2 მან.

წელიწადი მეშვიდე.

ორშაბათი, 31 მარტი 1914 წელი

1780

გაზეთი

## შინაური საქმეები

ხელის მოსკრის მიღება რე-  
დაქციაში, ქ. ქუთაისში (სა-  
ბუთიაძე) — კვანციას ქე-  
სის

და თფილისში გამოამკველდნან სომხის პაზანში, სიმონიანდის შუქის  
სახეზე № 17).

ამ 1914 წ. განმავლობაში გაზეთის ფასი: 3 1/2 მან.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულადი შეზღუდვა წლიური მოწოდების შეიძლება ასე განაწილდეს: თაიფდგან 12. 75 კა. შედგან ნაბე-  
ვარი წლის დანახვები. განცხადების ფასი წინა გვერდზე მტრით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კა.  
ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. უფლების მექონ სასულიერო პირთა სა-  
ყურადღებოთ. 2. მკითხველთა საყურადღებოთ—ერთა-  
განი. 3. წინასწარი თათბირი—დურნოვო. 4. ქრისტე-  
სთვის და ეკლესიისთვის (რუსულით) მღ. კეკელიძე.  
5. ილიასებური (ლექსი)—აჯა მუჯა. 6. მათხოჯის დე-  
დათა სავანე—ლ. იმერელი. 7. შეგვეხარბა—ხელი. 8.  
ორ კვირაში. 9. მოწერილი ამბები—მღ. ი. დოდონა-  
ძე. 10. საზოგადოების საყურადღებო. 11. მადლობის  
გაგონება.

### უფლების მიქონ სასულიერო პირთა საყურადღებოთ.

რედაქციას ხშირათ ეკითხებიან, თუ  
წერილობით, თუ პირადათ, სად უნდა მი-  
ვიქცეთ ესა და ეს საეკლესიო წიგნები  
გვქირდებო. ამ დღეებშია ცოკრიბის სა-  
ბლალოჩინო, სოფ. ოჯოლის მღვდელმა  
მ. ვ. გაბადაძემ მოგვმართა ამავე კით-  
ხვით. ჩვენ ვერაფერი სასაუბრო ვერ  
უთხარით, რადგან არ ვიცით და არც  
ვბისკ. კანცელარიაშია ცნობები, თუ რა  
და რა წიგნები იმეკონებიან დღეს კან-  
ტორის საწყობში გასასყიდად. ვიცით  
კი, რომ დავითნის და კურთხევის სინ-  
სილა არ მოიძებნება, მაგრამ სხვები?  
დროა მიექცეს ყურადღება ამ გაუგებარ  
და უმიზნო უკუღმართობას ვისგანაც  
ჯერ არს. საეკლესიო წიგნების ბეჭედაც  
ხომ სებარატისტობა არ არის? რა გვემა-

336  
337  
338  
339  
340  
341  
342  
343  
344  
345  
346  
347  
348  
349  
350



რთება! ასეთი გასაჭირი მაშინაც არ სდგომია ქართულ ეკლესიას, როცა წიგნები გადაწერით ვრცელდებოდა. ნუ თუ ჩვენი ეპისკოპოსები, ჩვენი კანტორის წევრები და სხვანი, ვინც სათავეში მოქცევიან ბეჩავ ეკლესიის მართვა-გამგეობას ვალდებული არ არიან იზრუნონ ამ საქმისთვის? კმარა, ბატონებო, ამდენი ძილი, გამოიღვიძეთ და მიიხედმოიხედეთ ირგვლივ. შეხედეთ და დაინახავთ, რომ თავზე გენგრევათ 15-16 საუკუნიათი ეკლესია. ამოიღეთ ხმა და სთქვით სიმართლედ, ამისთვის ენას ვერავე მოგქრისთ, ვერც არავინ სეპარატისტობას დაწამებთ და ვერც თბილ-თბილ ადგილს ჩამოგართმევთ. სანამდი გინდათ ვერც თვალ დახუჭული იყოთ და არ აქცევდეთ ყურადღებას საღვთო საქმეებს? ნუ თუ მარტო განქორწინების საქმეები გეყოფათ და ფულის შესაკრებ ცირკულიარების გზავნა, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა დაიცვათ? ყოველი კუთხიდან გიყვირიან მოგვეშველეთ წიგნები არ გვაქვს, ლამის არის მცირე ნათლისღებით გადავანათლოთ მთელი ქვეყანა და ზოგიერთი წიგნები ხმარებიდან განდევნოთ უქონლობისა გამო და ნუ თუ არ გესმისთ ეს ყვირილი? და თუ გესმისთ, სად ბრძანდებით? რათ თქვენ საქმეს არ აკეთებთ? რათ არ ზრუნავთ, რათ არ შეხვალთ სამღვდელოების მდგომარეობაში? არ გამოგადგებათ ასეთი სიჩუმე, იცოდეთ ღმერთი უფრო ძლიერია ქვეყნის ძლიერებზე, რომლების წინაშე თქვენ ქვემძრომობას საზღვარი აღარ აქვს!

მკითხველთა საუკრადღებოთ.

(გაზ. „შინაური საქმეების“ შეწყვეტის გამო)

ცხადია, რომ დიდი უშეტესობა დღევანდელი ჩვენი სამღვდელოებისა გონებრივად დაცემულია, თანამედროვე ცხოვრებას სრულიად ჩამორჩენილია, უვიცია, ცრუ მოწმუნეა, ამის გამო მას აღარ ძალუძს შესაფერი

ზნეობრივი გავლენა მოახდინოს თავის სამწყსოზე. აი მიზეზი, რომლის მეოხებითაც დღევანდელმა სამღვდელოებამ დაჰკარგა ხალხის თვალში პატივი და ნდობა, აი მიზეზი, რომლის მეოხებითაც ეცემა ეკლესიის მნიშვნელობა, სარწმუნოება, ღვთის სიყვარული. გაქრის დრო, როდესაც ჩვენი სამღვდელოება მტკიცეთ, თავგანწირვით იბრძოდა სამშობლო ეკლესიის დაცვისათვის, მაღალ-ზნეობრივ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისათვის, ჩვენი ენისა და საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურის გაფურჩქვნისათვის, ჩვენი სამშობლო მიწა-ყლის შენარჩუნებისათვის. დღეს იგი არხინად მიჰყვება თან დღევანდელ უკუღმართ ეამთა ბრუნვას, თავშეუკავებლად ექანება უფსკრული საკენ... სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიტუტსაც ვერ იჩენს იგი, აი ასეთ მდგომარეობაშია დღევანდელი ჩვენი სამღვდელოება. მერე რა საშვლებით შეუძლია მას იხსნას თავი აუცილებელი მომავალი სულიერი სიკვდილისაგან? ასეთი საშუალება მხოლოდ ერთია: სამღვდელოებამ თავის უმთავრეს მიზნათ, დღეიხათ უნდა დაისახოს: **გონებრივ-ზნეობრივი ამაღლება**. ხოლო ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევათ ის უნდა დაეწაფოს ჩვენ ლიტერატურას—საეროსა და სასულიეროს, ენას, ისტორიას; ნათლათ გაითვალისწინოს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, იცნოს თავის თავი. ნათლათ წარმოიდგინოს თავის ზნეობრივი მოვალეობა ჩვენი ეკლესიისა და ეროვნების წინაშე და შესაფერათ იმოღვაწეოს თავის ასპარეზზე. იარაღი რომლის საშუალებითაც ის შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას, გახლავსთ შესაფერი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, პერიოდული გამოცემები, რომლებშიც უნდა მუშაობდეს თვით სამღვდელოება. ასეთი გამოცემების გავრცელება სამღვდელოებაში უდრის უკანასკნელის სულიერათ გაცოცხლებას, ზნეობრივ-გონებრივათ ამაღლებას. ასეთია თანამედროვე ცხოვრების მკაცრი მოთხოვნილება. თუ რანაირად ეგებება ჩვენი სამღვდელოება ასეთ მოთხოვნილებას, ამას ნათლად გვიჩვენებს იმერეთის სამღვდელოების ნა კრება (იხ. „შინაური საქმეები“ №1, 1914 წ.).

რომელზედაც მამა იასონ აბესაძის „მზრუნველობით“ ჩვენმა სამღვდლოებამ დამარხა თავისი ერთათ-ერთი სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი ორგანო — „შინაური საქმეები“ და ამით ჩაუყარა საძირკველი თავის გონებრივ-ზნეობრივ დატემის საქმეს. ამისათვის ჩვენ ვგმობთ მამა იასონის საქციელს.

ერთგანი.

### შინასწარი თათბირი

რუსეთის სამღვდლოების მომავალ კრებასა საქართველოს ეკლესიის შესახებ\*).

ხანდახან პეტერბურგის პრესაში იბეჭდება ცნობები სამღვდლოების კრების წინასწარ თათბირის შესახებ. ამ თათბირში უპირველესი ადგილი უჭირავს სასულიერო უწყების „შინაურ“ კაცებს, როგორცაა, მაგალითად მღვ. ბუტკევიჩი და ბ-ნი ოსტროუმოვი. ეს თანამშრომელნი მღვ. ვოსტორგოვისა 1906 წლის წინასწარი თათბირით იმდენად ცნობილნი არიან საქართველოს ეკლესიისათვის, რომ ჩვენ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ლაპარაკი მათ შესახებ.

წინასწარი თათბირი საქართველოს საეკლესიო-სარეწარმო-საეკლესიო სტრუქტურებს; სხვათაგან რომა ვსთქვამთ, იგი არ აღიარებს ეკლესიის ავტოკეფალიას, ამ შემთხვევაში ერთი საკითხი იბადება: მართლაც და რისთვის არის მოწყობილი ეს წინასწარი თათბირი? თუ იმისთვის, რომ დაამტკიცოს პეტრე პირველის ყველა საეკლესიო რეფორმა და აიძულოს მოსკოვის ადგილობრივი კრება მიიღოს ის, რაც დაადგინა წინასწარმა თათბირმა, რუსეთის საეკლესიო გემის წარჩინებულმა მესაქემ, მაშინ ასეთი კრება არა გვეჩინა კრებულს დაემსგავსოს; ადვილი შესაძლოა მან გამოიწვიოს ახალი განხეთქილება; არამც თუ გაამაგროს თითქმის ორასი წლის განმავლობაში ქვიშაზე მდგარი ეკლესიის შენობა.

თუ კი დავიწყებთ ბაასს საეკლესიო ავტო-

\* ) გადმოხტეტილია „სახალხო გაზეთიდან“ რედ.

კეფალიაზე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ეკლესია მოკლებულია მას 1721 წლიდან, რადგან აღარ ჰყავს კრების მიერ არჩეული ძირი-არხი, ე. ი. ადგილობრივი ეკლესიის მეთაური, არც სწორუფლებიან ეპისკოპოზების კრებული. მაშ რაშიღა გამოიხატება მისი დამოუკიდებლობა? ობერ-პროკურორთან მყოფი სასულიერო საბჭო, რომელიც შესდგება მისი სურვილით მოწვეულ პირთაგან, არა ჰგავს საეკლესიო თავისუფლებას. აღმასრულებელი უფლებებიც საეკლესიო საქმეში მინიჭებული აქვს თვითონ ობერ-პროკურორს, რომელიც თავის სურვილისამებრ აუქმებს და სპობს სასულიერო საბჭოს ყოველს დადგენილებას. ამას მოწმობს ახლად დაბეჭდილი შრომა განსვენებული აკადემიკოსის გოლოუბინსკისა: „რეფორმები რუსეთის ეკლესიის ყოფა-ცხოვრებაში“.

ეხლა საქართველოს ეკლესიის საკითხით უფრო დაინტერესებულნი არიან გრაფინია იგნატიევის სალონიში, ვიდრე თვით საქართველოში, სადაც არაფერ არ ზრუნავს მის ბედობისთვის. კიდევაც რომ დაიღუპოს ქრისტიანობა საქართველოში, ეს მხოლოდ გაახარებს გრაფ. იგნატიევის სალონის ბურჯთ: გრ. რასპუტინსა, ვოსტორგოვსა, სკვორცოვსა და პურიშკევიჩს! ტყუილად კი არ გაუთანაბრეს საბერძნეთ-საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიის მესვეურნი რევოლიციონერებს: ტყუილად კი არ დასწამეს მათ იმ ეგზარხოსის მოკვლა, რომელსაც, პროფ. ა. ცავარელის სიტყვით, პეტერბურგში მოხსენება მოჰქონდა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

ეხლა რომ რუსეთის ეკლესიის საქმეთა სათავეში იდგნენ ისეთი ბრწყინვალე მოღვაწენი მეცხრამეტე საუკუნე, როგორც იყვნენ მოსკოვისა, კიევისა, ჩერნიგოვისა, ვრიგოლნოგოროდისა, ანტონ ყაზანელი, დიმიტრი ადესელი და მათ-დაგვარი, მაშინ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სულ ადვილად გადასწყდებოდა. ღვთის მოშიშნი, პასუხისმგებელნი უმადლეს ღვთაებრივ მწყემსის წინაშე წმ. კანონების დარღვევისთვის, მთავარმოდღარ-

ნი ვერ გაბედავდნენ თავის სამსხვერპლოს აღმართვას სხვის ეკლესიაში. ეხლაც რომ ვკითხოთ რუსეთის ეკლესიის სწორ-მოაზროვნე არქიელებს, როგორცაა, მაგალითად, ტიხონ ლიტველი, პიტირიმ სამარელი ტიხონ ვორონეჟელი, ზოგიერთ სხვებს, განათლებულ ადამიანთა, უნდა იყეს თუ არა ივერიის ეკლესია ავტოკეფალური—თანახმობის პასუხს მიიღებთ. წმ. კანონებზეა დამყარებული ეკლესია; და თუ მათ დაეკარგათ ძალა, მაშინ თვით ეკლესია აღარ იქნება მართლ-მადიდებელი.

ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი უმეტეს ნაწილად ისეთი პირნი არიან, რომელთაც არც რელიგიური მრწამსი, არც მტკიცე რწმენა არ გააჩნიათ. ისინი იმიტომ კი არ არიან ავტოკეფალიის წინააღმდეგნი, რომ ვითომც ავტოკეფალია რითიმე საშიში იყოს რუსეთის სახელმწიფოს სიწყნარისთვის და ეკლესიის მშვიდობიანობისთვის, არამედ იმიტომ, რომ მღვრიე წყალში მათთვის უფრო ადვილი და ხელსაყრელია თევზის დაჭერა. მთელს რუსეთში რომ სუფევდეს სიმშვიდე და ღვთის მადლი, მაშინ ვოსტორგოვები და ბუტკევიჩები, ოსტროუმოები, სკვორცოვები და პურიშკევიჩები ისხდებოდნენ თავის მიწურ სოროებში.

რუსეთის კანონიკებმა, როგორც ვიცით, კრების წინასწარ თათბირის დროს 1906 წელს აღიარეს, რომ 1721 წლიდან რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობა სწარმოებს არა კანონიურის წესებით, რომ არა ჰყავს არც მეთაური ეპისკოპოზების კრებულისა, არც კანონიური სინოდი. ამისდა მიხედვით გადაწყვეტილია მოსკოვის საპატრიარქოს აღდგენა და უწმ. სინოდის შესადგენად 12 არქიელის მოწვევა, რომელნიც სინოდის კრებაზე მორიგეობით მიიღებენ მონაწილეობას. თუ კი 1906 წლის კრების წინასწარი საკრებულო, აგრეთვე 1912—14 წლებს წინასწარი თათბირები აღიარებენ, რომ პეტრე პირველის მიერ დაწესებული სინოდი წმ. კანონებს არ შეეფერება, მაშ როგორ შეიძლება კანონიურად ჩაითვალოს სინოდზე დამოკიდებული საქართველოს მართვა-გამგეობა და თვითონ დამოკიდებულე-

ბაც სამმართველო ეკლესიის ასეთის სინოდისაგან? სალი მსჯელობა და ლოლიკა ვერ მისწვდება, თუ რად ემოწმენ ვოსტორგოვს კრების წინასწარ თათბირში მონაწილე მღ. ბუტკევიჩი და ექსპროფესორი ოსტროუმოვი და რად გასწირეს არამც თუ მხოლოდ ივერიისა, არამედ რუსეთის ეკლესიისა და მთელი მართლ-მადიდებლობის ინტერესები. წმ. კანონებთან შეუფერებელ წესით არც ერთი ეკლესიის მართვა-გამგეობა არ შეიძლება.

ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია საჭიროა ეკლესიების განსაცალკევებლად კი არა, არამედ მშვიდობისა და სათნოების დასამყარებლად, ეკლესიების შესაკავშირებლად, ეს კარგათ იცის მღ. ვოსტორგოვმა და პროვოკატორების შეგბენლმა კამპანიამ. მათთვის ხელსაყრელია არეულობა არამც თუ მართა საქალთველოში, არამედ რუსეთის ყველა განაპირა ქვეყანაში.

მეფის ერთგულმა ქართველმა თავადაზნაურობამ, და ქართველ ეკლესიის კრებულმა უნდა შეიგნონ: ხალხის გადარჯულება რელიგიისა და ზნეობის დაცემას მოასწავებს და რაც უფრო დაჰშორდებიან ქართველები ეკლესიას, სახელმწიფო მთავრობას მით უფრო გაუძნელდება ამ მხარეში მშვიდობიანობის დამყარება.

ჩვენ აქნობამდე არ ვიცით, მართლაც და რას აკეთებენ ქართველები თავის ეკლესიის უფლების აღსადგენად, ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობის ასამაღლებლად. რატომ სდუმან ისინი, როდესაც მათ სეპარატიზმს და რუსეთისამდი ორგულობას სწამებენ? რა არის საერთო სეპარატიზმისა და ეკლესიის უფლებათა დაცვის შორის? განა ეკატერინე მეორე—დიდი ჰფიქრობდა ეკლესიების განყოფას, როდესაც უმართებულეს სინოდში 1783 წელს წევრად დანიშნა ბატონიშვილი კათოლიკოზი ანტონ მეორე? განა ავტოკეფალიის ძალით ივერიის ეკლესია გადადის რაიმე მწვალებელთა სარწმუნოებაში და უთანაბრდება სომეხ-გრიგორიანებისა, რომის-კათოლიკეთა, ან სტარობრიადცების ეკლესიებს? არა, იგი რჩება კვლავ იმავე მთლიან მართლმადიდებელ ეკლესიის წილში და, მაშასადამე სრულიად შეთანხმებული

იქნება რუსეთის ეკლესიასთან; მას ჰყავს თავისი კათოლიკოსი, რომელსაც ქართველ სამღვდელთა კრებული ირჩევს და მეფე ამტკიცებს; თავისი არქივების შემწეობით, რომელთა რიცხვიც გადიდდება, იგი აღამაღლებს ხალხში სარწმუნოებას და პატიოსნებას და ამ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთსავე გაუწევს სამსახურს.

მაგრამ სწორედ ეს არა ჰსურთ მღ. ვასტორგოვს და მის ბნელ საქმეთა ამხანაგობას, რომელიც ივერიის ეკლესიის დაღუპვის საქმეს აწარმოებენ, რადგანაც მათ წინააღმდეგობას არ უწევენ და სდუმან ისინი, რომელიც თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში თავისი სისხლით და იარაღით იცავდნენ მტრებისაგან თავის მართლმადიდებელ ეკლესიას. ეხლა ისეთი ბრძოლა საქიროა აღარ არის; საქიროა მხოლოდ სიტყვიერი აპოლოგია, ანუ დაცვა საკუთარი ეკლესიისა მტრებისაგან. ქართველი ეპისკოპოზები უნდა უდგნენ მას დარაჯად ისე, როგორც თვით სამწყსოც. მაშინ ქართველ ეპისკოპოზებს არ მოუხდებათ კავკასიონის ქედს იქით ყოფნა, აღარ დასჭირდებათ წუხილი თავის ეკლესიისთვის ეპისკოპოზ კირიონისა და დავითივით.

მას შემდეგ რაც აღიძრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თითქმის არც ერთ ქართველს, პროფ. ა. ცაგარელის გარდა, ხმა არ ამოუღია ივერიის ეკლესიის ცილის მწამებელთა და მტრების მღვდ. ვოსტორგოვის; ბუტკევიჩის და ბერდნიკოვის, ოსტროუმოვის და „ამხანაგ“. ბრალდების წინააღმდეგ. აქნობამდე არავის არ გამოუჩვენებია თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ივერიის ეკლესიას რუსეთის ეკლესიასთან. მღვ. ვოსტორგოვი და ოსტროუმოვი ირწმუნებიან, რომ იგი დაემსგავსება სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიას და მაშინ მართლმადიდებლობიდან ქართველები სხვა რჯულზე გადავლენო. ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის დროს ნამდვილად განსაკუთრებული შესამჩნევი ცვლილებანი არც კი მოხდება. ექსარხოლის ალავს დაიჭერს კრებულის მიერ არჩეული და მეფის მიერ დამტკიცებული კათოლიკოსი და კიდევ სამი-ოთხი ახალი არქიე-

ლი, რაც ასე საქიროა სარწმუნოების აღსადგენად და ზნეობის ასამაღლებლად რწმენა დაკარგულ ხალხში. თუ ქართველი ეპისკოპოზები (კირიონი, ლეონიდი, გიორგი, დავითი, ანტონი), კრებული და ხალხი დაივიწყებენ თავიანთ ეკლესიას, რა უნდა გააკეთონ მათ მოსკოვის მომავალ კრებაზე? რუსეთის ეკლესიისა და საქმეთა მოწყობის შესახებ აზრების გამოთქმა მათთვის არავის არ დაუვალდება; ქართული ეკლესიის საქმეთა განხილვისათვის რუსეთის ადგილობრივ კრებას არც მსოფლიო პატრიარქისგან და არც აღმოსავლეთის კირიარხებისაგან ნება არ აქვთ მიანიჭებული.

ჩვენი დასკვნა ისეთია, რომ ქართველ ეპისკოპოზებს, კრებულისა და ხალხის წარმომადგენლებს რუსეთის კრებაზე საქე არ აქვთ; მით უმეტეს, რომ კრების წინასწარ თათბირზე საბოლოოდ მიიღეს მღვ. ვოსტორგოვის გეგმა შესახებ ივერიის ეკლესიის საქმეთა, რომელსაც მხარი დმუჭირეს ბუტკევიჩმა და ოსტროუმოვმა. ადგილობრივ კრებასაც წინააღმდეგობას მისცემენ მიიღონ ეს გეგმა. კრებაზე ნებას არავის მისცემენ რამე გამოსთქვან და იკამათონ ივერიის ეკლესიის შესახებ.

## 6. დურნოვო.

### ქრისტესთვის და ეკლესიისათვის.

(რუსულაით.)

სრულიად დაქანცული დაბრუნდა პასტორი მარკოზ სპენსერი მწუხრიდგან სახლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევიდა თუ არა თავის სამუშაო ოთახში, მაშინვე შეუდგა მუშაობას. უკვე შაბათ საღამო იყო და მას საკვირაო ქადაგების ნახვეარიც კი არ ჰქონდა მომზადებული.

სადაც ღღეებში სრულიად ცარიელი ეკლესია კვირაობით მალად ივსებოდა ხოლმე ხალხით. აქ თავს იყრიდა მთელი ქალაქის არისტოკრატია.

ღვთის მსახურება ასეთ ღღეებში სრულდებოდა განსაკუთრებული ღიღებით. პასტორის ქადაგებაც მეტი მიმზიდველი და მომხიბველი გამოდიოდა ხოლმე ამ ღღეებში.

დღეს კი, ქაღაგების შედგენის დროს, პასტორი ღელავდა, კბენდა კალმის ტარს, ფურცლავდა რვეულს და ცდილობდა გადაეხა ერთი მეორეზე დაბნეული აზრები, მაგრამ არაფერი არ გამოუდიოდა. კალამი ხელიდგან უვარდებოდა.

— არა, არ შემიძლია, წარმოსთქვა ოფლში გაწურულმა და აღელვებულმა პასტორმა.

— რასაკვირველია არ შეგიძლია, მოისმავილაკას საიდუმლო და უცნობა მაღალი ხმა. პასტორი შიშისაგან ფეხზე წამოვარდა.

— რასაკვირველია არა, — უფრო ხმა-მაღლა წარმოსთქვა უცნობმა და მის ხმაში მოისმოდა ოდნავ დამკინავი კილო.

პასტორმა მოიხედა და, თვისდა გასაოცრად, დაინახა ეშმაკი. საშიში სტუმარი ჩამოძვარაიყო სასულიერო ეურნალ-ვაზეთებით სავსე მაგიდის კიდეზე, გადაედვა ფეხი ფეხზე და ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა.

— რასაკვირველია არა, გაიშხლართა რა სტოლზე, კიდეც უფრო უღიერად გაუმეორა სტუმარმა, — და განსაკუთრებით კი მაშინ, თუ იცი, რომ შენი ეკლესია სავსეა მატყუარებით.

— რას მიჰქარავ, — მრისხანედ შესძახა პასტორმა.

— შენი ეკლესია სავსეა მატყუარებით, დინჯათ გაუმეორა ეშმაკმა. — აბა, მოდი დავითვალოთ და მაშინ შენც დაინახავ, რომ მე მართალი ვარ. შენი ეკლესიის შემავალი ხომ სამასს კომლს უდრის?

— 315-ს, გაუსწორა პასტორმა.

— კარგი, იყოს 315. ამითში 100 მამაკაცია, და მათში კი 75-ს უჭირავთ ცოტათ თუ ბევრათ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. არიან სამსახურში და ითვლებიან მოსამსახურე პირებათ. მითხარი, ყველა მათგანმა დასდვა ალტკმა ეკლესიაში ჩარიცხვის დროს?

— დიად, ყველამ, დაიმედებულმა წარმოსთქვა პასტორმა და ვერ მიხედა კი, თურა უნდოდა ამით მისგან ამ საშინელ სტუმარს.

— კარგი... ეხლა მითხარი, ნუ თუ ყველა მათგანმა არ გაიმეორეს შენი სიტყვები,

რომლითაც ფიცულობდნენ მთელი სულით და გულით ყვარებოდათ ეკლესია და დასწრებოდნენ ყველა ღვთისმსახურებას?

ამაზე პასტორი დადუმდა, აირია და ვერაფერი უპასუხა.

— სთქვი, სთქვი რადა, — არ ეშვებოდა ეშმაკი.

— შეჭფიცეს, ეს თუ არა?

— ჰო, წამოიღულულულა პასტორმა ძლივს გაქვირებით და ამის თქმას, მიწა რო ვაზეთქოდა, ერჩია.

— ეხლა მითხარი: ასეთი დიდებული ალტკმის დამღებ პირებში რამდენი დადის ეკლესიაში და ესწრება წირვა-ლოცვას?

— რამდენი? — შეუბრუნა კითხვა პასტორმა.

— დიად, რამდენი?

პასტორმა მოიგონა უკანასკნელი ღვთისმსახურება, თავის გულში დაითვალა ყველა მლოცველები და დარცხვენით უთხრა:

— დაახლოვებით თორმეტი.

— თორმეტი? — უნდობლათ შეეკითხა ეშმაკი. ეს არ შეიძლება, რამდენჯერაც არ ვყოფილვარ ეკლესიაში ამდენი მლოცველი სამსახურის პირი არ მინახავს შიგ. ნუ ცრუობ, სპენსერო. მოხუცი ხარ და ჩემი მოტყვილებაც ძნელია.

— შეიძლება შემცდა და ცოტათი დავამეტე, რა უყოთ მერმე, — დარცხვენით უპასუხა პასტორმა.

— კარგი, კარგი, იყვეს შენებურად, უთხრა სტუმარმა. — 75 მამაკაციდან წესიერად ესწრებიან ღვთისმსახურებას მხოლოდ თორმეტი. დანარჩენები კი გართული არიან თავიანთ კერძო საქმეებში და სრულიად არ შემოდინ ეკლესიაში და ან თუ შემოდინ, ძალიან ძვირათ, ხომ მართალია?

— მართალია.

პასტორმა უკვე იგრძნო თავისი დამარცხება. ჩალუნა თავი და იდგა ხმა-ამოუღებლივ. ეშმაკი ხარხარებდა და მისი ხარხარი ეფინებოდა რა მთელ სახლს პასტორისას, ლახვარივით ხედებოდა ამ უკანასკნელის გულს.

— ეხლა მითხარი, განაგრძო გამოკითხვა ეშმაკმა, რამდენი ქალი დაიარება ეკლესიაში?

ამის შეკითხვაზე პასტორს სახე გაუბრწყინდა რადგანაც მისი აზრით, შეეძლო უფრო ხელსაყრელი პასუხი გაეცა და დაიმედებულმა უპასუხა:

— ორმოცი, ორმოც და ათი.

ორმოცი? კვლავ შეეკითხა ეშმაკი.

— ჰო, ორმოცი ან ორმოც და ათი. რა გიკვირს მერმე?

— მაშასადამე გამოდის რომ ეკლესიის 315 წევრისაგან ღვთისმსახურებას მუდმივად ესწრება მარტო სამოც და ორამდე წევრი, რა უწოდოთ იმ დანარჩენთ, რომლებიც არ დადიან ეკლესიაში? ხომ იმათაც ოდესღაც მისცეს აღთქმა ევლოთ ეკლესიაში? პასტორი სდუმდა.

— არა, ღმერთი თუ გწამს მითხარი, ნუ თუ მართალი არ ვიყავი, როცა გეუბნებოდი, რომ შენი ეკლესია მატყუარებით სავსეა მეთქი.

— ბევრ მათგანს სრულიად არ აქვს დრო დაესწროს საღამოს ლოცვებს და ეს გაამართლებს შათ, უპასუხა პასტორმა.

— არ აქვთ დრო? გაკვირვებით შეეკითხა ეშმაკი, — მაგრამ როდისმე კი გსმენია რომ რომელიმე მათგანს, უარი ეყოს სტუმრიანობა, ბანქოობა და საღამოს გამართვა?

პასტორი სდუმდა.

— ნუ თუ გავიგონია, რომ რომელიმე ამ მოსამსახურე პირთაგანს უარი ეთქვას პოლიტიკური ან მეცნიერული მიზნით გამართულ საღაოზე? ნუ თუ უდროობით გაიმართლებდნენ თავს და ან ნუ თუ ვინმე დაიჯერებდა ამ გვარ შათ თავის მართლებას?!

პასტორი ისევ სდუმდა.

— რამოდენიმე ხანს მე თვალყურს ვადევნებდი—განაგრძო ეშმაკმა—შენს მრევლს და აი რა შევნიშნე: ნახევარზე მეტი იმათში წლის განმავლობაში საშუალო რიცხვით ორ საღამოს ატარებდა სხვადასხვა საღამოებზედ ან თეატრებში. შათ ჰქონდათ დრო გასართობად და სრულიად არ სცალოდათ, რომ ეკლესიაში

ღვთისმსახურებას დასწრებოდნენ. ნუ თუ ყოველივე ეს იმის მომასწავებელი არ არის, რომ შენ მრევლს ეკლესია არ უყვარს და სრულიად ჩემს გავლენის ქვეშ იმყოფებიან? ატარებენ დროს არა ისე, როგორც შენ, პასტორო, გინდა, არამედ როგორც მე? თუ ვინმე მორწმუნეთაგანი მათ ეკლესიაში შეიპატივებდა, ისინი ყოველთვის უარს ამბობდნენ და თავს მართულობდნენ ან დაღლილობით, ან თავის ტკივილით. ბევრმა მათგანმა დალუბა თავისი ძალა და ჯანმრთელობა.

— შესდექი, დამანებე თავი, შეპყვირა თავბრუ დასხმულმა პასტორმა ეშმაკს.

— ვერ შემაშინებ—დინჯათ უპასუხა ეშმაკმა და უფრო თამამად მოიკალათა მაგიდაზე, რადგანაც გადმოყარა პასტორის საყვარელი წიგნები. სპენსერმა არ იცოდა, რა ექნა, როგორ გამოედევნა ეს დაუპატივებელი სტუმარი, მაგრამ მიუხედავად მეცადინეობისა მან ვერაფერი მოიგონა და ეშმაკი თავისუფლად განაგრძობდა სტოლზე ჯღომას.

— გული ნუ მოგდის, პასტორო, ღიმილით უთხრა ეშმაკმა და ნუ ფიქრობ ჩემს აქედან განდევნას, როცა საჭირო იქნება მე თითონ წავალ. არც ჩემთვისაა მაინცადამაინც სასიამოვნო ისეთ კაცთან ჰიდაობა, რომელიც სათავეში უდგია მატყუარებს,

— გაჩუმდი, — შესძახა გარისხებულმა პასტორმა; სჩანდა, თუ როგორ გაეცსო სისხლით თვალები და დაებერა ნესტოები.

— გაჩუმდები, დინჯათ მიუგო ეშმაკმა, მაგრამ ჯერ მიპასუხე: შენს ეკლესიასთან არსებობს ახალგაზდების საზოგადოება, რომელსაც მე ვიცნობ და მინდა გავიგო, თუ რამდენი წევრი ითვლება ამ საზოგადოებაში.

— ასამდის—მიუგო პასტორმა,

— მათში ნამდვილი წევრი რამდენია?

— ოცდა თუთხმეტი.

— რამდენადაც მე ვიცი, ყველა ახალგაზდა წევრათ ჩარიცხვის დროს აღთქმას სდებს.

— დიალ, მაგრამ ნუ თუ ფიქრობ, რომ მათ წინააღმდეგაც გექნება რამე სათქმელი? — მრისხანედ უთხრა პასტორმა და თავიღვან ფე-

ხებამდის აათვალთვალა-ჩაათვალთვალა დაუბატონებელი სტუმარი.

— არაფერი, არაფერი, უპასუხა მან, მხოლოდ ეს მინდოდა, რომ რამდენადაც მახსოვს ყოველი ახალგაზდა, რომელიც ჩაეწერება ხსენებულ საზოგადოებაში, სდებს ალტჰმას, რომ ივლის ეკლესიაში და ყოველ ღვთისმსახურებას დაესწრება. ამ საზოგადოებას თავის დევიზთა აქვს: „ქრისტესთვის და ეკლესიისათვის.“ ეხლა მინდა შევიტყო შენგან, პასტორო, ამ ახალგაზდებიდან, თუ რამდენი დადის წირვა—ლოცვაზე და რამდენი მათგანი ამართლებს დევიზს: „ქრისტესთვის და ეკლესიისათვის?“

— მე ეს არ ვიცი, გულმოსულად წაილულულა პასტორმა.

— არა, შენ კი იცი, პასტორო, მაგრამ არ გინდა სთქვა.

— 40, 50, უპასუხა პასტორმა.

— ჰო — ეს ნამეტანი ბევრია.

— შეიძლება, მხრების აწევით უპასუხა პასტორმა.

— მაგრამ ამასთანავე დამეთანხმე იმაში, რომ ყველა მათგანი არ ესწრება წირვა-ლოცვას, ყველა მათგანი არ ასრულებს თავის მიერ დადებულ ალტჰმას...

— მე ვხედავ, რომ შენ რაღაცას თქმა გინდა, სპენსერო. ნუ სწუხდები, მე ხშირად დავდიოდი შენს ეკლესიაში, ვისმენდი შენს მოსაწყენ ქადაგებას, ვხედავდი მრავალ ცალიერ ადგილებს და ვხარობდი; ახალგაზდობას ცოტას ვხედავდი ეკლესიაში, ისინი ერთობოდნენ სხვადასხვა საღამოების გამართვაში, სადაც ეძლეოდნენ ლოთობას, ბანქოობას, თეატრში სიარულს და დედათა სქესთან გამაგიებელ მუსიკას.

— და თუ შენ მიიღებ მხედველობაში იმასაც, რომ ყველა ის ახალგაზდები, რომლებიც კი ეკლესიაში დადიან, მაგრამ ნამდვილათ კი სძინავენ და ან ფიქრობენ სრულიად სხვაზე, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ყველა ისინი მატყუარები არიან. თუ გინდა გაგულისხმე, პასტორო, მაგრამ მე სრულიად არ

მესმის ამის შემდეგ რა მნიშვნელობა აქვს მათ მიერ მიცემულ ალტჰმას. ნუ თუ ისინი მოქმედებენ რამეს თავის სულისათვის, როცა აძლევენ ალტჰმას ქრისტეს და იმავე დროს კიდევ ატყუებენ მას და თავის სინდისსაც?!

— მათ აქვთ სრულიად გასამართლებელი მიზეზები მაქხოვრის წინაშე იმისი, რომ ხანდახან ვერ ასრულებენ თავიანთ ალტჰმას და ვერ დადიან ეკლესიაში—უპასუხა პასტორმა. ეშმაკმა გულიანად გადინარხალა, უფრო კარგათ მოიკალთა სტოლზე და გადმოყარა კიდევ რამოდენიმე უურნალი. აღმაცერად უყურებდა პასტორი ეშმაკის მოქმედებას, მაგრამ, არ ჰქონდა საშვალეება გაეჩერებია იგი. ის გრძნობდა თივის დამარცხებას, გრძნობდა, რამდენათ მართალი იყო ეშმაკი და სირცხვილის აღმური ასდიოდა პირისახეზე.

მას ღონე არ შესწევდა, რომ როგორმე გამოსულიყო ამ გაქირვებულ მდგომარეობიდან; ერთი სიტყვაც რომ ეთქვა თავის ეკლესიის გასამართლებლათ კიდევ კარგი იყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ის გრძნობდა თავს ღრმა დამნაშავეთ, გრძნობდა ბრალდების მთელ სიმძიმეს, დადიოდა კუთხიდან კუთხეში, იგლეჯდა თმას თავზე და ჩურჩულებდა: რისთვის, რისთვის? უფალო, შემეწიე და მომეხმარე! ფიქრები ერეოდა, ერთიმეორეზე უარესი აზრი მოდიოდა თავში; ტყვილა უბრალოდ ევედრებოდა ზეცას, ტყვილა უბრალოდ ელოდა ხსნას.

ხსნა არსაიდგან სჩანდა და პასტორი ჩვეულებრივად მარტო-მარტო და უმწეოთ რჩებოდა.

სტუმარი კი განაგრძობდა:

— ავიღოთ მაგ წასული წელი, შენი საზოგადოების 30 ახალგაზდა წევრისაგან მე არცერთი არ მინახავს ეკლესიაში. არ დამაფიწყდება ერთი შემოდგომის საღამო, როცა კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ქარი ღუნავდა ახალგაზდა ხეებს და ძირიანათ თხრიდა, სახლებს აძრობდა სახურავებს. ქალაქის ქუჩები ამ დროს გაჩუმებულნი იყვნენ და ჩვეულებრივი ხმაურობა არ ისმოდა; ვერც ერთი



მოქალაქე იმ საღამოს ვერ ბედავდა გარეთ გა-  
 მოსვლას, ეწინააღმდეგებოდა, რომ ქარს არ გაეტაცებიათ  
 და ან არ გაციებულყვნენ; და მიუხედავად ასეთი  
 ამიღისა ის 30 ახალგაზრდა სხვადასხვა სა-  
 ლამოვებზე და წვეულებებზე იყვნენ. რას  
 იტყვიან პასტორო? ნუ თუ ეხლაც ფიქრობ,  
 რომ ამ ახალგაზრდებს შეუძლიათ აღთქმის ას-  
 რულება? ნუ თუ ვერ ხედავ, რომ ისინი მატ-  
 ყუარანი არიან? ყველა, მთელი ეკლესია  
 სავსეა მატყუარებით და წარმოიდგინე ყველა  
 ამ მატყუარებს სათავეში შენ უდგინარ.

პასტორმა ამოიკენესა და თითები დაიკო  
 ყურში; ცდილობდა არ გაეგონა ეშმაკის სიტ-  
 ყვები, მაგრამ არაფერმა უშველა. სატანას  
 სიტყვები ლახვარივით ხედებოდნენ მის გულს.

— მე შემიძლია წარმოვიდგინო შენ, გა-  
 ნაგრძო ეშმაკმა, საბუთები, რომ სამი მეოთ-  
 ხედი შენი მრევლისა ეძებს მხოლოდ განცხრო-  
 მას და არ ფიქრობს ეკლესიაზე. მე დაგიმ-  
 ტკიცებ, რომ ნახევარი ახალგაზრდობისა მატ-  
 ყუარანი არ.ან. მატყუარანი არიან მოსამსახურ-  
 რე პირნი, ქალები და შენც, შენც, მოძღვარო.

ეშმაკი თანდათან უახლოვდებოდა გაფით-  
 რებულ პასტორს და ეუბნებოდა: პასტორო,  
 კუთხის მოეგე, ნუ თუ ეხლაც დაბრმავებული  
 ხარ და ვერ ხედავ, რომ შენი ეკლესია უმიზ-  
 ნო და უზბრო დაწესებულებაა, რომ შენი სა-  
 ზოგადობის დევიზი: „ქრისტესთვის და ეკ-  
 ლესიისათვის“ მარტოოდნენ და წვაა შენი  
 თავისთავზე? გეყოფა ფლიდო და სიცრუე!

პასტორი აქვითინდა იმორებზე და-  
 პალუბით მოდიოდნენ ცივილიზაციის და ისმოდა  
 მისი კენესა.

ეშმაკმა აცალა ტირილი და როცა ის ცო-  
 ტათი დაშვილდა განაგრძო:

— შეჩერდი, მოძღვარო! იკმარე სულ  
 დაბლა- დაბლა დაკემა; გეყოფა მოტყვილება  
 ქრისტესი და სინდისისა და თუ შენ ოდესმე  
 აღსთქვი გელონა ყოველივე ღონე ეკლესიის  
 წარმატებისათვის, ეხლა შეგიძლია მის სასარ-  
 გებლოთ სცადო ერთი უკანასკნელი ღონე.

— რომელი? შეეკითხა პასტორი.

— რომელი? სულ უბრალო, დაანებე

ღედლობას თავი და გადმომეცი მე შენი მრევ-  
 ლი, დაფიქრდი პასტორო, ხომ უამისოთაც  
 შენი სამწყსო მე მაკუთვნის, ხომ მაინც მე  
 ვფლობ. ამიტომ მოდი გონს სანამ გვიან არ  
 არის და გადმომეცი შენი სამრევლო მე. ასე  
 ეჩურჩულებოდა ეშმაკი და ეს ჩურჩული უყი-  
 ნავდა პასტორს სულს და გულს, მაგიერის  
 თქმა ვერ შესძლო, რამდენი არ იფიქრა, მაგრამ  
 ერთა სიტყვაც ვერ მოიგონა თავის დასაკვივლი.

— გადმომეცი, მოდი გონს, ესმოდა ეშ-  
 მაკის სიტყვები და პასტორმა უკვე იწყო შეგ-  
 ნება იმისი თუ რამდენათ მართალი იყო ეშმაკი  
 და ის უკვე მზათ იყო დათანხმებულიყო მის  
 წინადადებაზე, რომ ამ დროს მოაგონდა ქრის-  
 ტე, მოაგონდა ეკლესია დამონებული, ცა-  
 რიელი და დამწუხრებული.

არა, უარისყოფა ქრისტესი და ეკლე-  
 სიისა მას არ შეეძლო, ეს მეტის-მეტი იყო,  
 ამის მოთხოვნა თვით ეშმაკსაც არ შეეძლო.  
 ის დაეშვა მუხლებზე სტოლთან და მისი ქა-  
 ლარა თავი შემთხვევით დაედო იქ მდებარე წმ.  
 დაბადებაზე და ხელები კი დაეწყო გულზე სა-  
 ლოცავად.

ეშმაკი უტბათ შეიცვალა სახეზედ, ჩამოხ-  
 ტა სტოლიდგან, რაზედაც ის მოქალაქეული  
 იყო, მივიდა დაჩოქილ პასტორთან და ცდი-  
 ლობდა გამოელო მის თავქვეშიდან დაბადება,  
 მაგრამ ცუდათ ჩაიარა მისმა ცდამ. პასტორმა  
 შემოხვია მას ორივე ხელი და არ ანებებდა.

— არ მომცემ? მრისხანედ შეპყვირა ეშ-  
 მაკმა და გადმოყარა სტოლიდან, თუ რამე  
 ელაგა ზედ.

— არ მომცემ?—უფრო მრისხანედ შეპ-  
 ყვირა ეშმაკმა და ერთი-ორი უთავაზა პას-  
 ტორს.

— გახსოვდეს ეს, პასტორო, შეიძლება  
 კიდევ შეგვხვდეთ ერთმანეთს, შესძახა სპენსერს  
 და გადაავლო მრისხანე თვალი.

მაგრამ პასტორს არაფერი ესმოდა, მთე-  
 ლი მისი არსება ზეცისაკენ იყო მიპყრობილი.  
 მისი ტუჩები ლოცვას ჩურჩულობდნენ.

დადბანს უყურა ეშმაკმა პასტორს და მის გა-  
 მომეტყველებაში აღვილათ შეამჩნევდით მრის-  
 ხანებას, ნალევს და სასოწარკვეთილებას.

— მშვიდობით და გახსოვდე მე! ჩემი შურისძიება სასტიკი იქნება მიადხა ეშმაკმა პასტორს და გამოვარდა გარეთ.

განცვიფრებული, დაჩოქილი პასტორი განაგრძობდა ლოცვას და დილის მზის სხივებ-მაც კი მოასწრეს მას ამ მღვდომარეობაში.

მლ. სევერ. კიკელიძე.

# ილიასებური.

რა ვაკეთებ, რას ვშრებოდით, ანუ უკანასკნელი ხანა გურია-სამეგლოს ეპარქიის სასულიერო წოდებაში.

\* \*

ერთხელ წირვა მოვისმინებ და დავსხედით ცაცხვის ძირში, თვითონ მღვდელიც გამობრძანდა და ჩამოჯდა ჩვენთან ჩრდილში.

მაშინ მღვდელსა შევეკითხებთ: აბა მამა-შვილობასა, გვაუწყე რამ თქვენი საქმის, ნუ მოგვაკლებთ ჩვენ ცნობასა.

მაგალითებრ, გაბრიელი, ოდეს სამწყსოს განაგებდა და ციური ნათლის შუქსა თვისსა სამწყსოს უხეად ფენდა:

რა ვაკეთებ? რას ვშრებოდით? — მღვდელ-მთავარი მკაცრიყო, ვწუწუნებდით, ვიძახოდით და მის ღვთიურ ქადაგებას ყურადღებას არ ვაქცევდით.

მერე როცა დ...-ნი, მთავრულ ძალით გამოცხადდა და აიღო ხელში კვერთხი კათედრაზე, რომ დაბრძანდა

რა ვაკეთებ, რას ვშრებოდით? მივაყარეთ საჩუქარი, ას-ასობით, ფული, ფული, ვაფაქიზებთ, ვანავარდებთ და მოვიგებთ მისი გული;

შევიქენით ყველა მღვდელი მერქიბე თუ მხარშველი... თუ არ გვქონდა სესხად ვიღებთ, არ დავშურებთ სახარჯველი.

მერე, როცა ღვთისნიერი ალექსანდრე ჩამობრძანდა, ეკლესია და მამულის სიყვარულით გვახარებდა, რა ვაკეთებ? რას ვშრებოდით? — არად ვაგდებთ მოხუცისა ღვაწლი მისი დიდებული; და მივმართებთ ჩა...-ძეს, მასთან გამოგვადგა ფული.

მერე, როცა აბაშიძე ტახტზე დაჯდა მღვდელ-მთავარი; მკაცრად სამწყსოს განაგებდა, არც უნდოდა საჩუქარი,

მხოლოდ იქმნა ავად-მყოფი, ცივი ჰავით გაყინული, თვისი ენა შეეზიზღა, წირვა იწყო მან რუსული, რა ვაკეთებ? რას ვშრებოდით?

— ჩვენ დავიწყებთ ჯაშუშობა, ერთმანეთსა ვაბეზღებდით, დამტკრეული უცხო ენით მას სურვილსა უსრულებდით.

ეხლა, ოდეს ჩვენ გველირსა ლეონიდე მღვდელ-მთავარი ღვთიურ ნიჭით-სიყვარულით აღტურვილი, მეგობარი რას ვშრებდით და რას ვაკეთებთ?

— ესტირი, რომ ჩვენ აღარც ეხლა, აღარ გვახსოს მაცხოვარი, თუმცა გულზე გვასვენია სატანჯველი მისი ჯვარი.

მღვდელ-მთავრისა წმინდა სახელს და მის ღვთიურ შთაგონებას ჩვენ ხელს ვუშლით და ვესწრაფით სულ-მდაბლები მის ბეზლობას.

1918 წ. ივლისის „19“ დღესა.

აჟა-მუჟა.

## ს. მათხოჯის დედათ სავნა.

მაშინ, როდესაც მათხოჯის შესახებ მრავალი წერილი დაწერილა და პატარა, უმნიშვნელო საკითხსაც კი დიდი აურზაური გამოუწვევია სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში, მათხოჯის დედათა სავანე — ეს ერთად ერთი სიამაყე ამა სოფლისა, — სრულიად შეუმჩნეველათ დარჩენილა; აქაურ კორესპონდენტებს კრინტიც არ დაუძრავს, გაკვრიტაც არ მოუხსენებია მისი უნუგეშო მდგომარეობა ქართულ თურქულ პრესაში.

მდებარეობით დედათა სავანეს საუკეთესო ადგილი უჭირავს; ლამაზათ მორთულ მთა-გორაკზე უღებამაზესი ადგილი უკავია. მშვენიერი სანახავია ეს ადგილი! — მწვანე მოლით შემოსილი მინდორი, ლამაზი, მომხიბლავი ბუჩქები და იქვე ამაყით მდგომარე ასწლოვანი მუხა, რომლის ტოტებსაც თითქმის ნახევრათ დაფარული იქაურობა, რაღაც ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს... ზაფხულს პაპანაქებაში, როცა ქვევით, სოფელში სიციხის აღმური სდგას, აქ შეუჩერებლათ დაქრის ნელი სიო და შესამჩნევათ გრილა. მშვენიერი სანახავია ეს მოწმენილი დილას, როცა გორაკის სიმალიდან გადმომდგარი ათვალეირებ მახლობელ სოფლებს. აუარებელი სურათი იშლება შენს წინ, მაყურებელი სტუმრები სხვა და სხვა სანახაობით, ხედავ სოფლებების ფაცა-ფუცს, მატარებლების მიმოსვლას, შავ ზღვაში გემების ქროლვას და ყველა ეს აუწერელ სიამოვნებას გგვრის ადამიანს.

ერთ ადგილს უძრავათ სგებარ და სულ გინდა უცქირო და დასტკებ მხიბლავ სურათებით. იქვე მახლობელ მთა-გორაკებიდან გესმის დაუცხრომელი ტიკტიკი ფრინველთა, ამას უერთდება მწვემისის სალამური, რომლის მომჯადოებელი ხმები ერთობ ხიბლავს და სიამოვნების ბურანში ხვევს მაყურებელს... სწორეთ მომხიბლავია ეს ადგილი! აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ეკლესიას შემოვლებული აქვს დიდი, გრძელი შენობა, რომელიც მრავალ სენაკს შეიცავს. ამ სენაკებში სტხოვრო-

ბენ მონაზვნები, რიცხვით ორმოც და ცამეტამდე და აგრეთვე პატივცემულნი პირნი სავანისა, — წინაძღვარი ქალი პატივცემული ბანი ალათი ცომაიას ასული და მღ. დავით ჯინჭარაძე.

ლეგენდალური გადმოცემით ეს მონასტერი უნდა დაეარსებინოს ვიღაც მთავარს ქილაცეს, რომელსაც თავისივე ხარჯით აუგია ეკლესია, მაგრამ საუბედუროთ, ეს ეკლესია ცეცხლისთვის მიუციათ თათრებს (1717 წ.) უნუგეშოთ დატოვებულნი მონაზვნები მთა-ღრეებში იმალებოდნენ და ლოცვაში ატარებდნენ თავიანთ სიკოცხლეს, ხალხმა მანც აღარ დაივიწყა ეს წმინდა ადგილი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ეკლესია ააგო. მაშინ კი საშვალეობა მიეცათ მონაზვნებს თავისუფლათ ეცხოვრათ, მაგრამ ხან-მოკლე შეიქნა მათი სიხარული. ცოტა ხნის შემდეგ ხალხს მოსწყინდა სალოცავათ გორაკზე სიარული და მოისურვეს მისი დარღვევა და უფრო დაბალ ადგილს ჩამოტანა, რაიც შესრულებულ იქმნა.

მრავალ-გზით დატანჯული მონაზვნები ისევ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნენ... უკანასკნელათ გაყიდეს თუ რამ ებადათ, შეაგროვეს ფული და მათხოჯის საზოგადოებისაგან შემოწირულების მიმატებით, — ააგეს დღევანდელი სამლოცველო.

ათას ცხრაას შვიდ წლამდე დედათა სავანეს არ ყოლია საკუთარი მღვდელი-მწირველი, ვინაიდან სასულიერო მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ და თითონ მონაზვნებს კი, — სად შეეძლოთ მღვდლის დაქირავება? ვისაც კი მიმართავდნენ თხოვნით, ყოველთვის ასეუ პასუხსა ღებულობდნენ: „ბევრი ხარჯი გვაქვს და არ შეგვიძლია მაგ სამსახურიო“ ეს იყო მათი საერთო გასამართლებელი მიზეზი. მიუხედავათ ამისა ორ კვირაში ერთხელ მონაზონთა თხოვნა მუდარით ესათუ ის მღვდელი სწირავდა ხოლმე. ათას ცხრაას შვიდ წელს, პატიოსანმა, კეთილ გრძნობებით აღჭურვილ მღ. დავით ჯინჭარაძე, შევიდა მონაზონთა უმწეო მდგომარეობაში და აღუთქვა მათ მუდმივი უფასო და-

ხმარება... გადაუმეტებელათ რომ ვსთქვათ, ეს ერთად ერთი ოქროს ხანაა მაიხოჯის დედათა საფანის მონაზონთა ცხოვრებაში, ამ ხნიდან საშვალემა ეძლევა მათ ღრმათ ჩაწვდენ საღვთო წერილს, შეისწავლონ იგი და ყოველ დღე მოისმინონ ღვთაებრივი წირვა-ლოცვა.

ღიახ, ღვთაებრივითქო ვლაპარაკობ, — და არც ვკითხები მგონი.

ბევრ ადგილს მომისმენია წირვა—ლოცვა, მაგრამ ასეთი გარკვეული, მწყობრი და თან დამატკობელი ვალობით შეზავებული კი — იშვიათად. სწორეთ ამაზედ შეიძლება ითქვას: „მათ სამლოცველოში რომ ვიდექი, არ ვიცოდი სად ვიყავი, მიწაზე თუ ზეცაში“.. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პატ. მღ. ჯინჭარაძეს კარგათ მოწყობილი მგალობელთა ხორო ყავს (რომელიც მონაზნებისაგან შესდგება) და თითონაც იშვიათი ბატიონი აქვს. ოც წელზე მეტია, რაც ეხლანდელი დედათა საფანე არსებობს ამავე საზოგადოების, თუ კერძო შემოწირულებათა საშვალეებით და, სწორეთ საკვირველია, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოსვლია სასულიერო მთავრობას ფიქრათ ცოტა დახმარება მაინც აღმოეჩინა მისთვის — და მით საშვალემა მიეცა უმწურო მდგომარეობაში მყოფ მონაზვნებისთვის მატერიალური მხრით შეუწყუხებლათ, თავისუფლათ ელოცათ ღმერთი. ძლიერ გაკვირვებული ვარ მონაზონთა ხასიათის სიმტკიცით და მათი ღვთის მოყვარეობით.. ასეთ უწყვეტო მდგომარეობაში მყოფთ, ერთხელაც არ მოსვლიათ აზრათ დაეგმოთ თავიანთი ცხოვრება მაშინ, როდესაც სბსულიერო მთავრობის ზოგიერთ მონასტრებში ბევრი ბოროტ-მოქმედება ხდება. სწორეთ საკვირველია სარწმუნოების სიმტკიცე ადებთა შორის!..

ბევრჯერ გამოვლაპარაკებია მონაზვნებს, მსურდა გამეგო, თუ რამდენათ ღრმა და შეგნებული სარწმუნოებისანი იყვნენ და ყოველთვის გაკვირვებულვარ მათი პასუხებით. ყველა ამაში, რასაკვირველია, მაღლობის ღირსია პატ. მღ. ჯინჭარაძე, რომელმაც ასე გაწრთუნა ისინი.

წირვა-ლოცვა და საერთოდ ღვთის მსახურება აქ წმიდა ათონის წეს-რიგზეა. დღიდან ჩამობრძანებისა პატ. მღვდელი ჯინჭარაძე მუშად ამ დედათა საფანის კეთილ-დღეობისთვის ფიქრობდა და ცდილობდა.

ორი-სამი წლის წინათ დედათა საფანის წინამძღვრათ დაინიშნა დიდად პატივცემული ქალი ალათი ცომაიას, ასული რომელიც დღიდან დანიშნვისა თავდაუზოგველათ ცდილობს დედათა საფანის კეთილ-დღეობისთვის... მისი მეოხებით შესამჩნევათ გამოკეთდა საქმე და, იმედი უნდა ვიქონიოთ, დღეს თუ ხვალ მონასტრათ დამტკიცდება ჩვენი ჯედათა საფანე დამით ასრულებდა აუტანელ გაჭირვებაში მყო მონაზვნების დიდი ხნის ნატერა-სურვილი. როგორც დანამდვილებით გავიგე, მათი ღვაწლით უკვე საქმე გაჩარხულა და დღითი დღე მანანასავით მოვლიან მონასტრათ დამტკიცებას. ვუსურვებ ღრმათ პატივცემულთ წინამძღვარ-ალათის და მამა დავითს საქმის დაგვირგვინებას, რომ ღრმა მოხუცებულობის ეამს ორთავეს თამამათ შეედლოსთ სთქვან: „აწ განგვიტევე ჩვენ მონაშენიო“....

ლ. იმეჩელი.

## შ ე მ ე ხ ა რ ბ ა !

„ცერკოვნი ვედომოსტის“ ახალ ამბებში ამოვიკითხეთ: დონის ეპარქიის სამღვდლოების შარშანდელმა კრებამ კონსისტორიის სეკრეტრის პროექტისამებრ სტამბა დაიარსა, სადაც დღეს სამი მსწრაფლმბეჭდავი მანქანა მუშაობს ელექტრო-მატორებით. შეგვეხარბა და გულნატკენმა ვსთქვი: არ მგვანებია იმერეთის სამღვდლოების უკანასკნელ კრებას რომელმაც არა თუ სტამბა დაიარსა, ერთად ერთი ადგილობრივი სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი ორგანოც კი ჩაჰკლა. ბევრი იტყვის, უსახსრობაა ყველაფრის მიზეზიო. ღიად, ჩვენც თანახმა ვართ, ერთ კაცს არაფერი შეუძლია, სახსარიც რომ საკმაო ჰქონდეს, ხოლო მთელ წოდებას ბევრი შეუძლია, სამღვდლოებას, რომელმაც სასულიერო სასწავლებლის ვეებერთელა შენობა ააგო და დღემდის ინახავს, რომელმაც

საეპარქიო საქაღებო სასწავლებელი დაიარსა და უზრუნველყო, გეკითხებით ასეთ სამღვდლოებს ერთი გაზეთის დასტამბის შენახვა არ შეუძლია? ნუ მეტყვიო! „თუ გული გულობდეს, ქადა ორივე ხელით იქმევა,“ როცა გული არ არის საქაპურიც კლაკვათ მოგეჩვენებათ.

ხელი.

## ორ კვირაში

ყოვლადსამღვდლო დავით (კაქახიძე) პოდოლის ეპარქიის პირველ ქორეპისკოპოსათ იქმნა გადაყვანილი.

არხიმანდრიტ ნესტორს (ყუბანიშვილი) ამ ეპადა ავათყოფობის გამო ოთხი თვის თავისუფლება აუღია სათანადო მთავრობისაგან და თბილისში სცხოვრობს. როგორც ამბობენ, არხიმანდრიტს ვერ გაუძლია შუა-მთის მივარდნილ მონასტერში და ისევ იმერეთის ეპარქიაში დაბრუნებას თხოულობს, ან თბილისში დარჩენას.

იმერეთის სამღვდ. კრების ეურნალი შესახებ სამარხი კასის წესდებაში შეცვლილ მუხლების აღდგენისა მის მეუფებას თავის რაპორტით კანტორისთვის წარუდგენია. ეხლა, როგორც გავიგეთ, კანტორა ისევ უკან აბრუნებს წესდებას წინადადებით მიიღონ ისე, როგორც დამტკიცებულია სინოდისაგან.

ამავე კრების დადგენილებისამებრ, რომელიც მისმა მეუფებამ უკვე დაამტკიცა; ახალი დამატებითი ჯამაგირები დაენიშნა შემდეგ ეკლესიებს:

ქუთაისის ხაზინადან: 1) ცაგერის სობოროს—დეკანოზს, დიაკონს და მედავითნეს; 2) ნიგორძგვის წ. გიორგის ეკლესიას; 3) ძუქნურის ამალღებისას, 4) შუაქვიტირის წ. და გიორგისას; 5) ჭყვიპის ამალღებისას; 6) ხონის წ. გიორგისას მეორე ღვდელს და მეორე

მედავითნეს; 7) დაბაძველის ფერის ცველები-სას; 8) ოფიტარის წ. გიორგისას; შორაბნის ხაზინადან: 9) ფარცხნალის მაცხოვრისას; 10) შროშის წ. გიორგისას; 11) ნადაბურის თეოდორე ტირონისას; 12) მღვიმის წ. ბარბაღესას; 13) ბერეთისის წ. გიორგისას; ონის ხაზინადან: საღმელისას—(მღ. ი. შარაბიძეს).

უწ. სინოდთან არსებულ საგანგებო კომისიას დაუმთავრებია მუშაობა სამღვდლოების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ და სინოდში წარუდგენია; ამის შემდეგ პროექტი სათანადო საერო დაწესებულებებს გადაეცემა განსახილველად. პროექტის ძალით პენსია ენიშნება 35 წლის სამსახურისათვის მღვდელს 900 მ. დიაკონს 600 და მედავითნეს 300 მ. 30 წლის სამსახურისთვის დანიშნულია პენსიის ნახევარი.

მ. იასონ აბესაძის მიერ შებილწულ ეურნალზე (იხ. შინ. საქ. №1, 1914 წ.) მისმა მეუფებამ იწება შემდეგი რეზოლიუციის დადება: 3-მარტს 1914 წ. ფორმალური გამოძიების წარმოებას ამ საქმეზე ვანდობ ქალაქის ეკლესიების ბლალ. მღ. თ. დუგლაძეს და მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდ. ს. პ. ლეკვიშვილს, რომელმაც ვაბრთხილებ, რომ მათი უარი ამ მინდომილობის შესახებ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, არ იქმნება პატივდებული, მსგავსადვე არ იქნება მიღებული დაინტერესებულ პირთა თხოვნა შესახებ სხვა გამოძიებლების დანიშნისა. დაინტერესებული პირები იმდენათ გამოცდილნი და მოსაქმენი (ДЪЛЖИВІТЪ) არიან, რომ არავის არ მისცემენ ნებას თავი დააჩავგრინონ.“

იმერეთის სამღვდლოების უკანასკნელმა კრებამ კერძო მოხსენება მიართვა მის მაღალყოვლადუსამღვდლოესობას საქარ. ეგზარხოსს ალექსის, რომელშიდაც ანუხხა საქართველოს ჯეკლესიის აუცილებელი საქიროებანი, რომელნიც შესაძლებელია ადგილობ დაკმაყოფილება.

ფილდეს და მოითხოვა განხორციელებულ იქმნეს უწ. სინოდის უქაზა 23 აგ. 1906 წ. შესახებ ამ ეკლესიის მართვა გამგეობისა. როგორც გავივით, ეს მოხსენება ეგზარხოსს კანტორისთვის გადალცია.

ამ ქამათ ყოვლად სამღვდლო ლეონიდი თფილისში იმყოფება სააქიმოთ. ფოთის ნოტიო ჰაერს ძრიელ ცუდი გავლენა უქონებია მის მეუფებაზე, ყურები დაბუგებია და ქარები აუტეხნია. მისი მეუფება, როგორც სჩანს, თბილისში კიდევ კაი ხანს დარჩება. მის მეუფებას ძრიელ აწუხებს ეპარქიის ხანგრძლივი მიტოვება.

## მოწერილი აშბები

### ს. ნახშირის-ღელედან.

როგორც ქალაქში ვხედავთ, ისე სოფლებშიდაც შემოიღეს, მიცვალებულის გასვენების დროს, ცხედრის გვირგვინებით შემკობა. ბევრს მიაქვს ამ დროს ქეშტის ხელოვნური ფიგურებიანი გვირგვინი ლენტეხით, ზედ წარწერით „ჩვენს დაუვიწყარ მეგობარს, სიმამრს, სიძეს, ნათლის მამას“ და სხვ... ხანდისხან ეს გვირგვინები კოცხალი ყვავილებიდან არის შეთხზული. თუმცა ერთიც და მეორეც უბრალო, ამაო და უსარგებლოა, მაგრამ ჩვენი სამწუხარო ის არის, რომ დაასაფლავებენ თუ არა მიცვალებულს, იმ გვირგვინებს ეკლესიაში შემოიტანენ და კედლებზე ჰკიდებენ სრულიად თამამად, არაეისაგან ნებაართვას არ თხოულობენ. ჩვენ ყოველ შემთხვევაში უცხადებთ ამგვარ პირებს, რომ გვირგვინები გარეთ, სასოფლოზე იქონიონ, მაგრამ ვინ გვიჯერის. ზოგიერთ ეკლესიაში ორმოცამდე გვირგვინი იქნება კედლებზე ჩამოკიდებული, ეკლესიაში სისუფთავე ვეღარ დავგვიკავს. გვირგვინები თლათ აბლაბუდაშია გახვეული. იქა აქ კოცხალი ყვავილების გვირგვინები ჩამოძონძეილა, აბლაბუდაში ობობასგან დახოცილი ბუხები და ქვეშ კიდევ რა-

დაც მწერები მოსჩანს. დილას რომ გაწმინდო, ხელა ც გასაწმენდია. ერთი სიტყვით ეკლესიას სისუფთავე ვერ მოგვიღებ. მნათეს მობეზრდა მათი წმენდა. რა ვიგონოთ ჯერ ვერ გამოგვირკვევია ამის შესახებ საბლალოჩინო კრებაზე ბევრჯერ ვიქონიეთ მსჯელობა, მაგრამ ჩვენის უფლებით ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დავადექით. უმეტესობა მლოცველთა კი საყვედურით გვავესებს, რათ ჰკიდია ეკლესიაში ამდენი აუარებელი გვირგვინი; ეკლესიაში ხატისდა ჯვარის ადგილია და არა ქეშტებისო, ქალაქის ეკლესიებში რათ არ არის ასეთი უწესოებაო და ბრალს ჩვენ გვადებენ, ჩვენ კი შესაფერ განკარგულებას ვერ ვახდენთ. გვირგვინები პატრონებს ნებით არ მიაქვთ და ჩვენ რომ გავიტანთ, წინაღმდეგობას გვიწვევენ მტრებათ გვეკიდებიან, ეს კი სასურველი არ არის. ჯერ ისიც საკმარისია, რითაც გარეშე პირები ახალი აღთქმის საღუქველები, გვიმასპინძლებიან და მიწასთან გვასწორებენ და კიდევ ამგვარი უკმაყოფილო ხალხი გავიჩინოთ მრევლში არ შეგვიძლია. ამიტომ ისევ თქვენ პატივცემულ ორგანოს მოემართავთ და ვითხოვთ ამ შემთხვევაში, რადგან მას ხალხი პატივს სცემს და უჯერის, როგორც სიმართლის მქადაგებელ ქრისტიანულ გაზეთს, გვიბრძანეთ რა უყოთ ამ აუარებელ გვირგვინებს? გავყიდოთ და ფასი ადგილობითი ეკლესიის საჭიროებას მოვახმაროთ, თუ გავიტანოთ ეკლესიიდან და კუთვნილებებისმებრ სასოფლოზე დავაწყოთ?

ს. ნახშირ. მღვდ. ისიდორე დოღონაძე.

როგორც შეტყობილი გვაქვს ამ საგანზე მალე გამოვა განკარგულება მისი მეუფების ეპისკოპოზის გიორგის მიერ. მაგრამ მოტრწმუნე საზოგადოებამ უამისოდაც უნდა იკლდეს ეკლესიის მნიშვნელობა და პატივით უნდა ეპყრობოდეს მას. რა უნდა ლეთის სახლში ჩვენი მიცვალებულის, ვითომდა პატივსაცემით მოტანილ ქეშტებს? ვინ უნდა აფასებდეს ადამიანის სამსახურს და მის კეთილ ქრისტიანობას, ღმერთი, თუ კაცი? რა თქმა უნდა ღმერთი, „რომელიც მოკიქულის სიტყვით, მია-

გებს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ მაშ რა-  
ლა საკიროა ჩვენი გატანებული ჩინ-ორდენები  
ამ ექსტის გვირგვინების სახით? მე ვგონებ  
თვით ქირისუფლების კეთილ-გონიერება არ  
წინააღმდეგება შემდეგ წინადადებას: რადგან  
გვირგვინები არაფრის მომასწავებელი არ არი-  
ან და არაფერი ფასი ღვთისა და მისი მორწმუ-  
ნის თვალში მას არ აქვს, ამიტომ კვლავისთვის  
თავი დაუანებოთ ასეთ უმნიშვნელო ხარჯებს,  
ნუ ავყვებით ქალაქის ნასწავლ თუ უსწავლ  
საზოგადოებას, რომელიც ამ შემთხვევაში  
ისეთივე შემცდარია, როგორც სოფლებე-  
ბი. არსებული გვირგვინები კი, რომლებ-  
ბიც აუშნოვებენ და ამწვირიანებენ წმინდა ად-  
გილს, გამოვიტანოთ ეკლესიებიდან, გავყიდოთ  
და შეძენილი ფული ისევ ეკლესიის სისუფთა-  
ვესა და გამშვენებას მოვეხმაროთ. ასე სჯობია  
ეს საქმე მოვაგვაროთ ჩვენივე თაობით, სანამ  
მართებლობა ხელს მოჰკიდებდეს და უპატიურად  
მიფანტ-მოფანტავდეს ამ უმნიშვნელო სარიჩხი-  
ნოებს.

რედაქტორი.



### საზოგადოების საეურადღებოდ.

მღვდელს მელიტონ კელენჯელიძეს, თა-  
ნახმით მისი საზოგადო მოთხოვნებისა, მეც  
გაუგზავნე ცნობები გაბრიელ ეპისკოპოსზე, იმ  
მოსაზრებით, რომ მათზე დაემყარებია მას თა-  
ვის დასკვნა გაბრიელის ამა თუ იმ მოქმედე-  
ბის შესახებ. სხვათა შორის მღვდლის ქიქინა-  
ძის შესახებ გაბრიელის წერილი მოწმობდა,  
რომ მათი მეუფება სავსებითა და დაკვირვებით  
იკვლევდა და იგებდა ყოველივეს სამღვდლო  
პირის შესახებ იმ რწმენით რომ ღირსეული  
და საიმედო ხალხის წინამძღვარი გაემწესებოდა  
ადგილზე. და თუ კი რაიმეს გაიგებდა მოთხო-  
ვნელის შესახებ, იმ შემთხვევაში ცნობებს ძირი-

თადათ იძევდა და საქმეს შემდეგ ათავებდა.  
ასეთი მოქმედება აჩვენებდა მათი მეუფების  
ღრმად ჩაკვირებას საქმეში და არა აყოლას  
და დაჯერებას მასთან მისულ ხმებისა და უსა-  
ხელო საჩივრებისას. ჩემის აზრით, ასეთის და-  
სკვნისთვის უნდა ეხმაროს მ. კელენჯელიძეს  
ცნობები მღვდლის იოანე ქიქინაძის შესახებ  
პირადობის შეუხებლად, არამც თუ უნდა  
გამოეჭყნებოდა მისი ვინაობა ასო-ასოთ შესა-  
წუხებლათ და საქეჯნავად ჩემდა მიეთ-მოეთა  
და მატურ პირთაგან და მასთან დასამკირე-  
რებლათ მამა ქიქინაძისა.

ამის გამო-ჩემის მხრით სამკინოთა ვსთვლი  
გამოვაცხადო საქვეყნოთ, რომ გაბრიელ ეპის-  
კოპოსს მისის წერილის გამო (რომელი წერი-  
ლის შინაარსიცა და აგრეთვე მამა ქიქინაძის  
თხოვნაზე გაბრიელის მიერ წარწერალი რეზო-  
ლიუციაც, მომაგონებელი იმავე საქვეო ბრალ-  
დებისა და გადმოცემული ჩემზე გარეშე სავა-  
რქიო კანცელარიისა, თავის დროზე კიდევაც  
გაუმცხადე მ. იოანეს) მე მოვახსენე მათ მეუ-  
ფებს შემდეგი: „იოანე ქიქინაძე, რომელსაც  
მე სემენარიაში მოწაფეობის დროიდან კარგა-  
თა ვსცნობ, არის მშვიდი, წყნარი და ღირსე-  
ული მღვდელი, მასზე შემდგარი ხმები არიან  
სრულიად უსაფუძვლო ცილისწამებათქო“.

ამნაირის ჩემის ცნობის შემდეგ კიდევაც  
უბოძა მას მღვდლის ადგილი მისავე სამშობ-  
ლო სოფელში.

მამა იოანე ქიქინაძე წინეთ მსახურობდა  
სამეგრელოში და როდესაც იქ თავი დაანება  
სამსახურს ავით მყოფობის გამო და ეძებდა  
რაქაში მრევლს იმ დროს დასდევს მას აღნი-  
შნული ბრალდება, ალბათ მოქიშპეებმა და მე-  
ტოქეებმა.

ვიმეორებ, მღ. იოანე ქიქინაძე, ჩემის

რწმენა-შეხედვით, არის მშვიდი, ღირსეული და პატიოსანი მოძღვარი და ყოველივე ბრალდება იმ დროისა მასზე, როგორც პირადმა გამოკვლევამ მაშინ დამარწმუნა, იყო სრულიად უსაფუძვლო ცილისწამება, შეთხუზული და გავრცელებული-უთუოდ-მის მოქიშვე და მომტერეთაგან.

ბლალაჩინი დეკანოზი მიხეილ სხირტლაძე.

**მაღლობის გამოცხადება.**

**მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშვალეებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის მხრით აგრეთვე ჩემის მრევლის მხრითაც ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ახლად აგებულს ჩემდამო რწმუნებულს ონტოფოს მთავარ ანგელოზის ეკლესიის გასამშვენიერებლად შემოსწირეს შემდეგი ნივთები: 1). ქვირემა ქრისტიანა ევანიას ასულმა ხელით მოქსოული ტრაპეზის წინ დასაფენი 4 მან. 2). მატრონა ნადარაიშვილისა, ბერაიას ასულმა ათავარ ანგელოზის ხატი და ანალოგიას შეუკერა შესაფერი სამოსელი, ტრაპეზს კურთხევის დროს შეუკერა გადასაფარებელი ტილო ღირებული 5 მან. 3) ვკატირინა ნიკოლოზ გადელიას ქვირემა საცეცხლური ღირებული 3 მან. 4) ვარლამ კოჭუამ და მისმა მეუღლემ სალომე (ვარდო) ევანიას ასულმა ოქროთი მოყვითლული ვერცხლის ჯვარი ღირებული 120 მან. 5). გრიგორი დავითის ძე ევანიამ ბოქლოში ღირებული 2 მან. 6). მამა ალექსი შუშანიამ

ბაირალები ღირებული 8 მან. 7). ლუკა თოფურიძემ ვერცხლის ოქროთი მოყვითლული მთავარ ანგელოზის, მაცხოვრის და წმ. მოწამის პანტელეამონის ხატები, ღირებული 20 მან. და 8). ამბერკი პავლეს ძე ნადარაიშვილმა და მისმა მეუღლემ თინათინ კარტოზიას ასულმა ერთი ხელი სამღვდლო შესამოსელი: ფილონი, ოლარი, სარტყელი, სამკლავები და ბედენიკი ღირებული 40 მან.

**მღვდელი ერმილე უვანია.**

**მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქ.“ საშვალეებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც პირადათ ჩემგან აგრეთვე ხვამლის მთის — ეკლესიის შემავალ მცხოვრებთაგან ბლალაჩინს დეკანოზს მარგიანს, რომელმაც შემოსწირა ხვამლის მთის ახალ ნაკურთხს ეკლესიას ოთხი წის გის ხატი და ფულიც 50 კ. აგრეთვე მღ. იაკობ ყურაშვილს, რომელმაც შემოსწირა სამი მანეთი, მღ. ერშალოზ მამალაძეს ორი მ., აზნაურ დავით მანდარიას ერთი მ., ქიშვარდი მამარდაშვილს ერთი მ., ბეგლარ მამარდაშვილს ერთი მ., ელიზბარ მამარდაშვილს 1 მ., ოქროპირ მუშკუდიანს 50 კ., საბა ასლანიკაშვილს 2 მ. 50 კ. დავით მუშკუდიანს 2 მ. 50 კ. სოლომ. ასლახაძეს 1 მ. ლუკა გაბადაძეს 50 კ. მედავ. ილარიონ მუშკუდიანს 50 მ. იოსებ მამარდაშვილს 50 კ. და სხვა პირთაც შემომწირველთა ხსენებულის ამ ეკლესიისა რომელთაც წვრილადად შემოსწირეს და ფულიც სჩანს თვალთ 30 მანეთი.

ადგილობრივი მღვდელი.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მხედლიძე**  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.